



ASB საქართველო & სომხეთი

წლიური ანგარიში

2024

Wir helfen
hier und
jetzt.

ASB
Arbeiter-Samariter-Bund


WWW.ASB.GE

მადლობა ჩვენს დონორებს:




Federal Ministry
Republic of Austria
Social Affairs, Health, Care
and Consumer Protection




 ვ. დოლიძის 2, თბილისი, საქართველო

 info@asb.ge

 ASB Georgia

 asbgeorgia

 ASB Georgia

 @asbgeorgia



სარჩევნი:

| | |
|---|----|
| ვინ ვართ ჩვენ? | 4 |
| გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა | 6 |
| RISE საქართველო | 8 |
| უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერა | 10 |
| გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტით დაზარალებული უკრაინელებისთვის | 12 |
| ინტეგრაციის ცენტრები | 13 |
| SEGI - სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია | 14 |
| ერთად შევძლებთ | 15 |
| ASB სომხეთში | 16 |
| ჩვენი ბენეფიციარის ხმა | 17 |
| საქართველოს სამართლებრივი კავშირი (სსკ)..... | 18 |



306 ვართ ჩვენ ?

ჩვენ ვართ ორგანიზაცია, სახელწოდებით არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი, თუმცა, ხშირად **ASB**-ს გვინოდებენ. ვართ გერმანიიდან და გვაქვს საქმიანობის ხანგრძლივი, კონკრეტულად კი 134-წლიანი, ისტორია. საქართველოში საქმიანობა 90-იანი წლებიდან დავიწყეთ. ვასრულებდით ჰუმანიტარული დახმარების მისიას ომისა და სიღარიბის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის. 1997 წლამდე **34 000-ზე** მეტ ადამიანს დავეხმარეთ, რა მიზნითაც ორგანიზაციის მხრიდან **7 500 000** ევროზე მეტი დაიხარჯა.

2010 წელს საქართველოში ისევ დავბრუნდით. ამჟამად სამი ძირითადი მიმართულებით ვმუშაობთ: **ჰუმანიტარული რეაგირება; სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;** მედეგობის გაძლიერება. ასევე, ჩვენ მხარს ვუჭერთ „საქართველოს სამარიტელთა კავშირს“ (სსკ).

2010 წლიდან ASB-მ 37 პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც 12 669 583 ევრო დაიხარჯა საქართველოში და 5 100 230 - სომხეთში. მთლიანობაში საქართველოს მასშტაბით 780 526 და სომხეთში 13 875 ადამიანს გავუწიეთ დახმარება.

ჩვენ ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, ჰუმანიტარულ დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, კონფლიქტით დაყოფილ თემებს შორის ნდობის გაჩენას, დევნილების, ლტოლვილებისა და მიგრანტების მხარდაჭერას, სამოქალაქო ჩართულობას სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში და ქალთა გაძლიერებას.

2024 წელს ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროექტები:



გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა



RISE საქართველო – უთანასწორობის შემცირება და კრიზისში მყოფ ქალთა მხარდაჭერის გაძლიერება



გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტით დაზარალებული უკრაინელებისთვის



SEGI: სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია



ინტერგრაციის ცენტრები საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ლტოლვილებისთვის



ერთად შევძლებთ - თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას საქართველოსა და სომხეთში



ფულადი და ფსიქო-სოციალური დახმარება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მთიანი ყარაბაღიდან

დონორები და პარტნიორები 2024 წელს:

- ავსტრიის რესპუბლიკის სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ზრუნვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო
- Aktion Deutschland Hilft;
- Action Against Hunger;
- აფხაზინტერკონტი (AIC);
- გერმანიის ფედერალური საგარეო უწყება (GFFO);
- გავერთიანდეთ ერთად (UT);
- კავკასიის ღია სივრცე (COS);
- ევროკავშირი (EU);
- ერთად რეალური ცვლილებებისთვის;
- მედია ცენტრი კახეთი (MCK);

- Mission Armenia;
- People in Need (PIN);
- საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ)
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;
- სომხეთის ჯანდაცვის სამინისტრო;
- “Surb Grigor Lusavorich” სომხეთის გადაუდებელი სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრო

ჩვენი გუნდი:



ბაკურიანი, 2024

„2024 წელი ASB საქართველოსთვის ნარმატებული იყო. ჩვენ სხვადასხვა პროგრამით შევძელით, ათასობით ბენეფიციარს დავხმარებოდით. კიდევ უფრო გავაძლიერეთ სოციალური მხარდაჭერის მიმართულება, განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლთა ადვოკატირებისა და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით რეგიონულ დონეზე.

ჩვენ ეფექტიანად ვუპასუხეთ გამოწვევებს, მათ შორის, მთიანი ყარაბაღის **120 000-ამდე** მცხოვრებლის სომხეთში მიგრაციასთან დაკავშირებულს. განვაგრძობთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფების საერთაშორისო დონეზე განვითარებას, ისინი მალე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებას გაივლიან.

ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა **ASB** საქართველოსა და სომხეთის ძლიერი და ერთგული გუნდის გარეშე, რომელსაც **ASB** გერმანია უჭერს მხარს. პარტნიორობთან აქტიურმა თანამშრომლობამ 2024 წელი ნარმატებულად აქცია. “— **ASB**-ს დირექტორი საქართველოსა და სომხეთში, კლემენს ფონ ჰაიმენდალი.



დაასკანავა და შეიტყუე მეტი ASB საქართველოს შესახებ



გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა

პროექტის მიხედვით, ჩვენი უმთავრესი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება და მისი, როგორც ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ეფექტიანი მექანიზმის პოზიციონირება, ამასთანავე, მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და ეკონომიკური მხარდაჭერა.

პროექტი მუშაობს საქართველოს სამ რეგიონში სამი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერა.

საკანონმდებლო ჩარჩო:

- მონიტორინგი;
- კვლევა;
- ადვოკატირება

ცნობიერების ამაღლება:

- ქალთა ქსელის შექმნა;
- ქალთა გაძლიერება;
- ცნობიერების ამაღლების კამპანია

მხარდაჭერა:

- სამართლებრივი;
- ეკონომიკური;
- ფსიქოლოგიური



მთავარი მიღწევები:

- **22 რეკომენდაცია** გაითვალისწინეს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სხვადასხვა დოკუმენტში. რეკომენდაციები მიზნად ისახავს სახელმწიფოს მზადყოფნას ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის (DV) წინააღმდეგ ბრძოლაში;
- **3 უნივერსიტეტში** სასწავლო პროგრამას დაემატა კურსი;
- **8 სოციალური საწარმო დაფინანსდა** GBV/DV მიზნებით;
- **45 მულტიმედიური მასალა** შეიქმნა, მათ შორის პოსტები სოციალური მედიისთვის, ვიდეოები, ინფოგრაფიკები და ტელეგადაცემები, რომლებიც საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა;
- **264 ქალს დაუფინანსდა** პროფესიული განათლების კურსი, რაც მათ დასაქმებაში დაემხარება;
- **20 ქალს გადაეცა** ფინანსური და ბიზნესის განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერა, რაც მათ ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევაში, საკუთარი მცირე ბიზნესის დაწყებას ან გაფართოებაში დაეხმარება;
- **796 ქალს** უფასო იურიდიული დახმარება გაენია, მათ შორის კონსულტაციები, წარმომადგენლობა და სამართლებრივი პროცესების განმავლობაში მხარდაჭერა.



ახალი ცხოვრება:

ლია გაბდელიანი ქვემო სვანეთში, მთიან ლენტეხში ცხოვრობს. ის სიმტკიცისა და შეუპოვრობის მაგალითია. მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ რთული გამოწვევების გადალახვა და მათგან კიდევ უფრო ძლიერად და ჯანსაღად გამოსვლა შესაძლებელია.

ლია 19 წლის ასაკში დაქორწინდა, მისი ეს გადაწყვეტილება ფესვგადგმულმა ტრადიციებმა განაპირობა, მუდმივად ფიქრობდა იმაზე, თუ „რას იტყვიან სხვები?“ – ამის გამო იტანდა ძალადობას და რჩებოდა ოჯახში. იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, რის გამოც ერთხელ 54 ნაკერის დადება დასჭირდა, დაზიანებული იყო შინაგანი ორგანოებიც. გარდა ამისა, ჰქონდა ღრმა ემოციური ჭრილობები:

„ემოციური ტკივილი ფიზიკურ ტრავმაზე ძლიერი იყო“, – იხსენებს ლია. „საზოგადოებაში დაბრუნებას დიდი დრო დასჭირდა. გამუდმებული ფიქრით – “რას იტყოდნენ ჩემზე სხვები?“


ტკივილისა და სასოწარკვეთის მიუხედავად, ლიამ მოახერხა წინ წასვლა და ახალი ცხოვრების დაწყება. გაიცნო ადამიანები, რომლებმაც შთააგონეს, ახალ გზას დასდგომოდა - პროექტი დაენერა და საკუთარი პოტენციალი ხელახლა აღმოეჩინა. ეს მისი ცხოვრების გადამწყვეტი მომენტი გახდა.

ASB საქართველოსგან მიღებული გრანტით ლიამ ორი საკერავი მანქანისა და საჭირო ინვენტარის შეძენა შეძლო საკუთარი საქმის დასაწყებად.

კერვა ლიასთვის მხოლოდ სამუშაო არაა – ეს მისთვის თერაპიად, გაძლიერებისა და ბედნიერების წყაროდ იქცა. „წარმოსახვაში ვხატავ ესკიზებს, შემდეგ ვჭრი და ვკერავ, რათა რეალობად ვაქციო,“ – გვიზიარებს ლია.

მან არა მხოლოდ საკუთარი დიზაინის შექმნა დაიწყო, არამედ ადგილობრივ მოსწავლეებსაც ასწავლის კერვას, ცოდნას გადასცემს და მხარდამჭერ გარემოს ქმნის.

პროექტის დონორი: ევროკავშირი (EU)
პროექტის ხანგრძლივობა: 2022-2024
პროექტის მდებარეობა: კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და იმერეთი | საქართველო



← დაასაპნარე, უყურე და გაიცანი გარემოდაპირველი ქალები



უთანასწორობის შემცირება და კრიზისში მყოფ ქალთა მხარდაჭერის გაძლიერება

პროექტით მიზნად ვისახავთ, ფოკუსირებული სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერით კრიზისში მყოფი ქალები და გოგონები გავაძლიეროთ. პროექტის მონაწილეები იქნებიან: ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და მიგრანტები.

ძირითადი აქტივობები:

- დაარსდება ორი საკონსულტაციო ცენტრი ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სერვისების გასაძლიერებლად, ცენტრები იფუნქციონირებს სოფელსა და ქალაქში.
- შეიქმნება თვითდახმარების ჯგუფები, რომლებიც თემში იმუშავენ.
- ჩატარდება ტრენინგები და სემინარები სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობა, თვითმოვლის პრაქტიკა, უფლებები და სამართლებრივი ასპექტები.

- პროექტის ფარგლებში ჩატარდება კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების ტრენინგები.
- ძლიერი ქსელის ჩამოყალიბებისა და ქალების, მათ შორის შშმ პირთა, ეკონომიკური გაძლიერების მხარდასაჭერად, უზრუნველყოფილი იქნება აღჭურვილობა. გაიმართება ბაზრობები გამოფენა-გაყიდვის მიზნით.

პროექტის დონორი: ავსტრიის რესპუბლიკის სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ბრუნვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო
პროექტის ხანგრძლივობა: 2024 – 2026
პროექტის მდებარეობა: აჭარა, სამეგრელო, გურია

მაგრამ, მიყვარდი



ოჯახში ძალადობა დროში განვლილი მკვლელობაა შეაჩერე ის

დარეკე 112



← დაასკანა და ნახე კამპანიის ფარგლებში შექმნილი მასალები

მაგრამ, მიყვარდი

კომპანია "მაგრამ, მიყვარდი" მიზნად ისახავს ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას საქართველოს მოსახლეობასა და ქვეყანაში მცხოვრებ უკრაინელ ლტოლვილებს შორის. კომპანია ქმნის მხარდამჭერ გარემოს, სადაც მსხვერპლს შეუძლია ძალადობაზე საუბარი, დახმარების მიღება და მნიშვნელოვანი რესურსების პოვნა. კომპანია ხაზს უსვამს, რომ ძალადობა არ არის სიყვარული და ის კანონსაწინააღმდეგოა, ამასთანავე, მოუწოდებს დამოკიდებულებების შეცვლისა და პოზიტიური ქცევის ფორმირებისკენ.

მოძალადეები დადიან
თავისუფლად
რადგან შენ არ
იბოქმედე

ღარავა 112

უკრაინელების მხარდაჭერი პროგრამები

ომმა უკრაინაში ბევრი ადამიანი აიძულა დაეტოვებინა საკუთარი სახლი და თავშესაფარი სხვაგან მოეძებნა. ათიათასობით უკრაინელმა ლტოლვილმა საქართველოს შეაფარა თავი. ამ ადამიანების უმეტესობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ფრონტის ხაზიდან და აქტიური საბრძოლო მოქმედებების ზონიდანაა, შესაბამისად, მათ სამშობლოში დაბრუნება არ შეუძლიათ.

საქართველოში მცხოვრები ყველაზე დაუცველი უკრაინელების მხარდასაჭერად 2024 წელს ჩვენ შემდეგი პროექტები განვახორციელებთ:

გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტით დაზარალებული უკრაინელებისთვის

SEGI - სპორტი, განათლება, განდარი და ინფორმაცია

ინტეგრაციის ცენტრები (HIC)



ვინ არიან ჰრესნიკები?

ჰრესნიკების - უკრაინელი ოჯახის დამხმარეების - უმრავლესობა უკრაინელია, რომლებიც საქართველოში 2022 წლის ომის დაწყების შემდეგ ჩამოვიდა. ჰრესნიკები პროექტის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ყოველთვის უნდა ჩვენ „ნათლიები“ პროექტის ბენეფიციარებს სტუმრობენ, მათ პირად საჭიროებებს აფასებენ, საცხოვრებელ პირობებს ეცნობიან, საჭირო ინფორმაციას აწვდიან და ყოველდღიური გამოწვევების გადაჭრაში ეხმარებიან.

დაასკანა და უყურე ვიდეოს საპარტოველო მიხმოვრები უკრაინელების შესახებ



მარიუპოლიდან ბათუმში: ცხოვრება ომის შემდეგ

„ყვავილებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს გულში. უკრაინაში, მარიუპოლში, ვარდების ბაღი მქონდა და ახლა, როცა აქ ვარ, ყვავილების ბაღის გაშენებას ახლიდან ვგეგმავ“, - ამბობს ოლგა.

ის უკვე ორწელიწად-ნახევარია ბათუმში ცხოვრობს, საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთავარ ქალაქში. ოლგა უკრაინიდან ომს 2022 წლის აპრილში გამოექცა.

„მხოლოდ ხელბარგით ჩამოვედით ერთი ჩემოდნით. დროის პირველ ეტაპზე ადაპტაცია საკმაოდ რთული იყო, თუმცა ჩემი მეგობრების დახმარებით ეს პროცესი გამიმარტივდა“, - აღნიშნავს ოლგა.

მას საქართველოში უკვე ბევრი ადგილობრივი მეგობარი ჰყავს, რომელთაც უკრაინული სამზარეულო ძალიან მოსწონთ, ოლგას კი ქართული კერძების მომზადებას ასწავლიან.

მრავალფეროვანი პროგრამების მეშვეობით, **ASB** საქართველომ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, **UT** და სსკ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი და სხვა უკრაინელი ლტოლვილების ინტეგრაციის პროცესში.



← დაასკანერე და წაიკითხე მეტი ჩვენს ვებ-გვერდზე



გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტით დაზარალებული უკრაინელებისთვის

პროექტის ფარგლებში, ჩვენ მიზნად დავისახეთ უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული ყველაზე დაუცველი პირებისთვის მრავალმიზნიანი ფულადი (MPC) და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის (PSS) უზრუნველყოფა, ამ გზით კი, მათი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და საქართველოში ყოფნის დროს ახალ გარემოსთან ადაპტაციის მხარდაჭერა შევძელით.

პროექტის ბენეფიციარები საქართველოში მცხოვრები უკრაინის მოქალაქეები არიან, რომლებიც საქართველოს მასშტაბით **113** დასახლებაში შემდეგ მონაცვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ა) ოჯახები, რომელთა წევრები არიან შშმ პირები;
- ბ) ოჯახები, რომელთა წევრები არიან ხანდაზმულები (60+);
- გ) ოჯახები, რომელთა წევრები არიან ბავშვები (3 შვილზე მეტი);
- დ) ოჯახები მართლაც დედებით, მამებით ან მომვლელებით.

პროექტი ასევე მოიცავს გამოზამთრების პროგრამის კომპონენტს, რომლის მიზანია ყველაზე დაუცველი ოჯახების დახმარება ზამთრის პერიოდში, როდესაც კომუნალური გადასახადების ხარჯები იზრდება.

პროექტის ფარგლებში ჰრესნიკებს შესაძლებლობების განვითარებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ფსიქოსოციალური მდგრადობის გაზრდის მიზნით ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგები მოიცავდა: პირველად დახმარებას; დღის მოვლას; კომუნიკაციას; კონფლიქტური სიტუაციების, ემოციებისა და სტრესის მართვას; თვითრეალიზაციასა და მომავლის დაგეგმვას. ასევე, ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებისთვის ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები ჩატარდა.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ბენეფიციარების გასაძლიერებლად ჩვენ პრიორიტეტად დავისახეთ ფსიქოსოციალური მხარდაჭერის (PSS) აქტივობების განხორციელება. სესიები შეიქმნა იმისთვის, რომ გაგვეძლიერებინა სტრესის დაძლევის მექანიზმები, დაგვეკმაყოფილებინა დედების/მეურვეების ემოციური და ფსიქოლოგიური საჭიროებები, ხელი შეგვეწყო ბავშვების გაძლიერებისათვის და დავხმარებოდით ყველა ასაკობრივი ჯგუფის ინდივიდს ახალ გარემოსთან ადაპტაციაში.

აქტივობების ფართო სპექტრი ჩატარდა, მათ შორის: ჭადრაკისა და ქართული ენის გაკვეთილები; სასიმღერო-საგუნდო კლასები; ხელით ნაკეთობების სემინარები; ფეხბურთის მატჩები; იოგას სესიები.

პროექტის გამორჩეული ინიციატივა საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან თანამშრომლობით ჩატარებული თავდაცვის კურსები იყო, რომლებიც უკრაინელი და ქართველი ქალებისა და ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. კურსის მთავარი მიზანი იყო: ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის გამონვევებისთვის ბენეფიციარების მომზადება. ასევე, ქართულ საზოგადოებაში უკრაინელების ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ კლასების მეშვეობით მონაწილეები თავდაცვისა და დეესკალაციის უნარებს სწავლობენ, რაც მათ უფრო თავდაჯერებულს გახდის. კურსებს პროფესიონალი ინსტრუქტორები ატარებენ, რომლებიც სპეციალიზებული არიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული თავდაცვის ტექნიკის სწავლებაში.



პროექტის დონორი: გერმანიის საგარეო საქმეთა ოფისი
პროექტის ხანგრძლივობა: 2023-2024
პროექტის მდებარეობა: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი | საქართველო

მთავარი მიღწევები:

- ყოველთვიურად **2400-მა** უკრაინელმა ისარგებლა მრავალმიზნიანი ფულადი დახმარების პროგრამით;
- **1 273** ადამიანმა ისარგებლა MAS კომპონენტით გათვალისწინებული პროგრამებით პროექტის სამიზნე რეგიონებში;
- **3 039** ოჯახმა მიიღო ზამთრის პერიოდის „გამოზამთრების პროგრამით“ ფულადი დახმარება;



პროექტით - **Happy Integration Center (HIC)** - ჩვენი მიზანია მხარი დავუჭიროთ უკრაინელი ბავშვებისა და ხანდაზმულების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, უკრაინელი ბავშვებისთვის შესაძლებლობები შევქმენით. ასევე, ინტეგრაციის პროცესისთვის ჩვენ დავაარსეთ უკრაინელი და ქართველი ასაკოვანი ადამიანებისთვის საერთო სახელოვნებო სივრცეები, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციას, გართობასა და დასვენებას.

2024 წლის განმავლობაში ბავშვებისთვის შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

სპორტი: სხვადასხვა სპორტული აქტივობა როგორც სპორტ-დარბაზებში, ასევე ღია ცის ქვეშ, მათ შორის იყო: წყლის, საცხენოსნო და ზამთრის სპორტი, ასევე, გუნდური თამაშები.

განათლება: ქართული და ინგლისური ენების გასაუმჯობესებლად ჩატარდა საგანმანათლებლო აქტივობები.

გართობა: კულტურების დასაახლოვებლად მოეწყო საგანმანათლებლო თამაშები, ლაშქრობები, მასტერკლასები და სხვა აქტივობები.

უკრაინელი და ქართველი ხანდაზმულებისთვის (60+) შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- ფიტნეს კლასები;
- სოციალიზაციისთვის საღამოები;
- ხელნაკეთი ნივთების დამზადების მასტერკლასები; ისეთები, როგორებიცაა: ქარგვა, კერვა, ქსოვა და სათამაშოების დამზადება.



პროექტის დონორი: Aktion Deutschland Hilft (ADH)
პროექტის ხანგრძლივობა: 2023-2024
პროექტის მდებარეობა: თბილისი, ქუთაისი და ბათუმი | საქართველო

მთავარი მიღწევები:

- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში სულ **761** სპორტული, საგანმანათლებლო და რეკრეაციული კლასი ჩატარდა;
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ხანდაზმულებისთვის ყოველწლიურად **100** კლასი ჩატარდა;
- პროექტის ფარგლებში სულ **662** ადამიანს გაენია დახმარება, მათ შორის **585** ბავშვი, **77** კი, ხანდაზმული იყო.



SEGI - სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია

პარტნიორ ორგანიზაციებთან, UT და სსკ, თანამშრომლობით, ჩვენ ვახორციელებთ პროექტს **SEGI: სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია**. პროექტის მიზანია სასიკეთო გავლენა მოახდინოს საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებზე.

პროექტის ფარგლებში ტარდება საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა აქტივობები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ბავშვებისთვის, ქალებისა და ხანდაზმულებისთვის. ეს აქტივობები ხელს უწყობს არა მხოლოდ მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას, არამედ უზრუნველყოფს ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ცნობიერების ამაღლება და ხელმისაწვდომობის/რეფერირების მექანიზმების ჩამოყალიბება.

იმედის კერა - ცენტრი ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ (GBV/ DV) უკრაინელ ლტოლვილებს უსაფრთხო, კონფიდენციალურ და მხარდამჭერ გარემოს უქმნის. ცენტრის მიზანია მსხვერპლთა მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის დახმარებითა და საჭირო სერვისებზე ინფორმაციის მიწოდებით.

პროექტის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; მძიმე ან ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (ქალები, კაცები და ბავშვები);
- ხანდაზმულები (60+);
- ოჯახები სამი ან მეტი შვილით;
- მარტოხელა ოჯახები.



პროექტის დონორი: Aktion Deutschland Hilft
პროექტის ხანგრძლივობა: მარტი 2024 – დეკემბერი, 2025
პროექტის მდებარეობა: თბილისი, ქუთაისი და ბათუმი | საქართველო

მთავარი მიღწევები:

- **859** უკრაინელი ჩაერთო სხვადასხვა სახის აქტივობაში, რომელიც მიზნად ისახავდა მასპინძელ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას;
- საკონსულტაციო ცენტრი „**იმედის კერა**“ გაიხსნა ბათუმში; **231-მა** ქალმა ისარგებლა ცენტრის მხარდაჭერით;
- ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის (**DV**) საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩატარდა;
- ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის საკითხზე ადვოკატირების გაძლიერების მიზნით რეგულარულად იმართებოდა **დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები** ბათუმში.





ერთად შევძლებთ – თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას საქართველოსა და სომხეთში

ამ პროექტით ჩვენი მიზანია კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაუმჯობესება, შესაძლებლობების განვითარება და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა, განსაკუთრებული ფოკუსით სომხეთსა და საქართველოში საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის მიმართულებაზე. პროექტის შედეგად საქართველოსა და სომხეთში გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფების (EMTS) შექმნა, რომლებიც დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს და გაივლის გლობალური კლასიფიკაციის პროცესს. აღნიშნული ჯგუფები მზად იქნებიან, მხარი დაუჭირონ საქართველოსა და სომხეთის, ასევე მეზობელი ქვეყნების, ჯანდაცვის ეროვნულ სისტემებს სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს.



პროექტის დონორი: ევროკომისია (EC), ევროპის სამოქალაქო, დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატი (DG- ECHO)
პროექტის ხანგრძლივობა: 2021-2024
პროექტის მდებარეობა: საქართველო, სომხეთი

მთავარი მიღწევები:

- 120-საათიანი სასწავლო კურსის მეშვეობით EMT-ს წევრები გადამზადდნენ სომხეთში;
- EMT-სთან დაკავშირებით, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს;
- საქართველოს EMT-სთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა წარმატებით განხორციელდა: გუნდის თვითკმარობის უზრუნველსაყოფად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობა იყო უზრუნველყოფილი.



← დაასკანავე და წაიკითხე შენი პროექტის შესახებ



ASB სომხეთში

2023 წელს ჩვენ, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სომხეთში დავინყეთ პროექტი „**ფულადი და ფსიქოსოციალური დახმარება ყველაზე მონყვლადი ჯგუფებისთვის მთიანი ყარაბაღიდან**“. ამ ინიციატივის მთავარი მიზანი მთიანი ყარაბაღიდან დევნილი მოსახლეობისთვის მრავალმიზნობრივი ფულადი და ფსიქოსოციალური დახმარების განწვევაა. ჩვენი სამიზნე ჯგუფები არიან ადამიანები განსაკუთრებით მონყვლადი ჯგუფებიდან: შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მძიმედ დაავადებულნი, ასაკოვანი პირები (60+), ოჯახები სამი ან მეტი შვილით და მარტოხელა ოჯახები.

მრავალმიზნობრივი ფულადი დახმარება **9 691** ბენეფიციარს გავუწიეთ ყოველთვიურად მათი გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ინტერვენციები განხორციელდა **4 184** ბენეფიციარისთვის, მათი ემოციური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, თავდაჯერებულობის, თვითშეფასების ასამაღლებლად და მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდასაჭერად. პარტნიორებთან ერთად, მრავალფეროვანი აქტივობები განვახორციელეთ, რომლებიც მიზნად ისახავდა მთიანი ყარაბაღიდან ბავშვებისა და მოზრდილებისთვის დაცული გარემოს შექმნას განათლებისა და დასვენებისთვის.




პროექტის დონორი: გერმანიის საგარეო საქმეთა ოფისი (GFFO)
პროექტის ხანგრძლივობა: 2023-2024
პროექტის მდებარეობა: სომხეთი

მთავარი მიღწევები:

- მონყვლადი ჯგუფის **9 691**-მა ბენეფიციარმა მთიანი ყარაბაღიდან მრავალფუნქციური ფულადი დახმარება მიიღო; დახმარება ორ ეტაპად გაიცა;
- **4184** ადამიანს ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა გაენია.





“სამი შვილი მყავს, მათგან ორს აუტიზმის სპექტრი აქვს, კომუნიკაციის სირთულეებით. არიან არ ლაპარაკობს, ხოლო 8 წლის გაგის განვითარების შეფერხება აქვს. წლების განმავლობაში არიან არცაბში თერაპიაზე ვატარებდით, მაგრამ მას ჩვენთან კონტაქტი არასოდეს დაუმყარებია; არ პასუხობდა ჩვენ კითხვებს. არ ვიცი, რა გააკეთეთ ბოლო თვეებში, მაგრამ არიან კომუნიკაცია დაიწყო, რაც უზარმაზარი მიღწევაა”, - ამბობს 33 წლის ჰასმიკი. მან მთიანი ყარაბაღი 2023 წელს დატოვა.



გაბიკი 8 წლის



არიანა 3 წლის

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ)

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) 1992 წელს ASB-ის ინიციატივით დაარსდა. 1990-იან წლებში ორი ორგანიზაცია, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებდა. ASB-სა და სსკ-ს ახლო თანამშრომლობა დღესაც გრძელდება ერთობლივი სოციალური პროექტების სახით.

2010 წელს, ASB-ს მხარდაჭერით, სსკ ხელახლა დაარსდა. მას შემდეგ ორგანიზაცია მრავალფეროვან პროგრამებს ახორციელებს ბავშვებისთვის, შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის. პროექტები ემსახურება სოციალური პასუხისმგებლობის მეორე საზოგადოების შექმნას, სადაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საჭიროებები.

2024 წელს სსკ-ს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა სხვადასხვა პროგრამაში:

სსკ-მ, ASB-სთან ერთად, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი შესთავაზა ომის შედეგად დაზარალებულ პირებს; ახორციელებს პროექტს **SEGI** ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; პროექტ **RISE**-ის ფარგლებში კი სსკ აძლიერებს ქალებს აჭარაში, სამეგრელოსა და გურიაში, სადაც საკონსულტაციო ცენტრი და თვითდახმარების ჯგუფები ყალიბდება, ასევე ტარდება ცნობიერების ამაღლების კამპანია.

სსკ პირველი დახმარების სასერტიფიკატო პროგრამებს ატარებს. ამავდროულად, ჰუმანიტარული დახმარების სახით აწვდის ტანსაცმელს, მედიკამენტებსა და ფინანსურ დახმარებას მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის უკრაინელ ლტოლვილებს. ეს ინიციატივები ხაზს უსვამს სსკ-ს ერთგულებას სერვისების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მდგრადი განვითარებისადმი.



2024 წელს სსკ-მ წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები და პროგრამები:

- **ადრეული ინტერვენციის სერვისი ლაგოდეხში:** ჩატარდა **1 850** ვიზიტი **20** ბავშვისთვის;
- **ადრეული ინტერვენციის სერვისი გორში:** ჩატარდა **2 770** ვიზიტი **30** ბენეფიციარისთვის;
- **მობილური შინმოვლის სერვისი მარტოხელა ხანდაზმულებისთვის:** **88** ხანდაზმულს და **22** სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა საკვები, ასევე ჩატარდა **5000** ვიზიტი;
- **ფსიქოსოციალური დახმარება:** **339-მა** ომით დაზარალებულმა დახმარება მიიღო;
- **პირველადი დახმარების ტრენინგი:** **76 %-ით** გაიზარდა სერტიფიცირებულთა რაოდენობა, ისარგებლა **344-მა** ადამიანმა.



ASB საქართველო

წიკითხე ანგარიში ქართულად



Wir helfen
hier und
jetzt.

